საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/26 "31" მარტი 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საწვავისა და სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2010 წლის დასაწყისში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ იქნა ტენდერები. ტენდერის შედეგად საწვავის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტისა და სატელეფონო მომსახურების შესყიდვისათვის ჩატარებული ტენდერის შვიდი ლოტის ჩაშლილად გამოცხადების გამო, აღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესაძენად საჭიროა გამოცხადებულ იქნეს ხელახალი ტენდერები. სატენდერო პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, ტენდერის ჩატარებისათვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით, გარკვეული საფრთხე შეექმნება საერთო სასამართლოების ნორმალურ ფუნქციონირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი